საიდ. №74731/03

IR 1180596

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №182-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ქ. კილაძე, დ. ჭიჭინაძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ავისტა ოილ აგ“ (AVISTA OIL AG) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №182-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 07 ოქტომბრის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №2560/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „PENNASOL“ (საიდ. №74731/03 IR 1180596) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-4 კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 07 ოქტომბრის №2560/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი „PENNASOL" მსგავსია კომპანიის „PENNZOIL-QUAKER STATE COMPANY" სახელზე „საქპატენტში" მე-4 კლასის მსგავსი საქონლისათვის რეგისტრირებული ნიშნისა „PENNZOIL" (რეგ. N 10633, რეგ. თარიღი 27/08/1998). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ორივე ნიშანი სიტყვიერია, შესრულებულია ლათინური ანბანით და აქვს თითქმის იდენტური ჟღერადობა. ამასთან, ნიშნებს არა აქვს სემანტიკური დატვირთვა. ნიშნებს აქვს იდენტური საწყისი ნაწილი „PENN", მეორე ოთხი ასოსგან შემდგარი ნაწილიდან ორი ასო ერთნაირია -„O" და „L", ასოებს კი „Z" და „S" აქვთ მსგავსი ჟღერადობა, შესაბამისად ნიშნები მსგავსია, როგორც ფონეტიკურად, ისე ვიზუალურად. ყოველივე ეს ქმნის ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აღნიშნულის გამო, ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ" ქვეპუნქტის საფუძველზე, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „ავისტა ოილ აგ" არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, მომხმარებლის მხრიდან არ ექნება ადგილი დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნებით მონიშნული მე-4 კლასის საქონლის მწარმოებელი კომპანიების ერთმანეთში აღრევას, რადგანაც განცხადებულ და დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის არსებობს საკმარისი განსხვავება, როგორც ფონეტიკური, ასევე ვიზუალური თვალსაზრისით. აპელანტის პოზიციით, როგორც განცხადებული, ასევე, დაპირისპირებული სასაქონლო

ნიშანი შედგება 8 ასო-ბგერისაგან. ამასთან, პირველი 4 ასო-ბგერა თავისი წყობით ერთნაირია და ორივე სასაქონლო ნიშანი მთავრდება ასო-ბგერით ”L”. განსხვავებულია, როგორც ვიზუალურად, ასევე ჟღერადობით განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების დაბოლოებები, რომლებიც ასევე 4 ასო-ბგერისაგან შედგება: ”ASOL” (ასოლ) და ”ZOIL” (ზოილ). ასო-ბგერას ”O” სხვადასხვა, კერძოდ, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანში მე-7, ხოლო დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშანში მე-6 პოზიცია უკავია და მნიშვნელოვნად ზრდის ამ ორ სასაქონლო ნიშანს შორის განსხვავებას, როგორც ფონეტიკური, ასევე ვიზუალური ნიშნით. აპელანტის მითითებით, შიდა ბაზრის ჰარმონიზაციის უწყების სასაქონლო ნიშნებისა და ისმო-ს ბრენდების გლობალური ბაზიდან დასტურდება, რომ განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები უმტკივნეულოდ თანაარსებობენ ევროპის რიგ ქვეყნებში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 07 ოქტომბრის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №2560/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „PENNASOL“ (საიდ. №74731/03 IR 1180596) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

სააპელაციო პალატის კოლეგია თვლის, რომ დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები „PENNASOL“ და „PENNZOIL“ არ არის აღრევამდე მსგავსი. მიუხედავად ნიშნებს შორის არსებული გარკვეული მსგავსებისა, კოლეგიის აზრით ისინი განსხვავდება იმდენად, რომ არ მოხდება მომხმარებლის მიერ მათი ერთმანეთში აღრევა. მსგავსია ნიშნების საწყისი ნაწილი „PENN“, თუმცა განსხვავებულია ნიშნების ბოლო ოთხი ასო ,,ASOL“ და ,,ZOIL“ , რაც ნიშნებს ანიჭებს საკმაო განმასხვავებლობას. სწორედ აღნიშნული განსხვავებული ბოლოსართების გამო ნიშნები განსხვავდებიან ფონეტიკურად. განცხადებული ნიშანი გამოითქმის, როგორც ,,პენასოლი“, ხოლო დაპირისიპირებული ნიშანი, როგორც ,,პენზოილი“. ამდენად, კოლეგიის აზრით, ნიშნები განსხვავდებიან, როგორც ვიზუალურად, ისე ფონეტიკურად და მათი თანაარსებობის პირობებში არ მოხდება მათი აღრევა და მომხმარებლის შეცოდმაში შეყვანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგია თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში, ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის ,,PENNASOL“ (საიდ. №74731/03 IR 1180596) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ავისტა ოილ აგ“ (AVISTA OIL AG) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 07 ოქტომბრის N2560/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „PENNASOL" (საიდ. №74731/03 IR 1180596) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „PENNASOL" (საიდ. №74731/03 IR 1180596) მიენიჭოს დაცვა საქართველში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები: ქ. კილაძე

დ. ჭიჭინაძე